**გორის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს**

**განკარგულება № 9**

**2023 წლის 13 იანვარი**

**ქ. გორი**

**გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმდა №3 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი რაიონი გორი, სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 514 კვ.მ; ს/კ 66.54.23.004 (ახალი კოდი: 66.54.23.035) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. ვინაიდან აღნიშნული პირობა ვერ სრულდებოდა, გორის მუნიციპალიტეტის მერის წერილით განსაზღვრული იქნა დარღვევის გამოსწორების ვადა 2021 წლის 01 ივნისამდე, ხოლო მყიდველის მიერ გადახდილი იქნა პირგასამტეხლო ხელშეკრულების შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ირაკლი ცერცვაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ არსებული პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე (ვინაიდან სავაჭრო ობიექტები იყო დაკეტილი, ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდული და ა.შ), ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში, პირობის შესრულებას ხელი შეუშალა ასევე იმან, რომ 3 თვეა ვერ მიიღო საგზაო დეპარტამენტის ნებართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი ცერცვაძე ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების და მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა და ,,გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის № 90 განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის

მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობა და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი რაიონი გორი, სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 514 კვ.მ; ს/კ 66.54.23.004 (ახალი კოდი: 66.54.23.035) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ირაკლი ცერცვაძის 2021 წლის 21 დეკემბრის N19/2021355299-03 განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ სამი მიწის ნაკვეთის გაერთიანებიდან გამომდინარე, არქიტექტურული პროექტის ცვლილების გამო, პირობა ვერ შეასრულა ვადაში, ხოლო ახალი კორექტირებული არქიტექტურული პროექტი მზადდებოდა და უახლოეს პერიოდში შეტანილ იქნებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი ცერცვაძე ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 10 განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობა და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი რაიონი გორი, სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 514 კვ.მ; ს/კ 66.54.23.004 (ახალი კოდი: 66.54.23.035) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად განსაზღვრა პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადა.

2022 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ს/კ 66.54.23.035 მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „ელიტა 2022“ (ს/ნ 417900436; დირექტორი: ირაკლი ცერცვაძე). 2022 წლის 13 დეკემბერს N10/202234758-20 განცხადებით ირაკლი ცერცვაძემ მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე დაწყებული აქვს სამშენებლო სამუშაოები, დაასრულა პირველი სართულის მშენებლობა და უწყვეტ რეჟიმში აგრძელებს მეორე სართულის მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და თენგიზ ასკილაშვილს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული №28 და №29 პრივატიზაციის ხელშეკრულებების (ახალი მესაკითრე ირაკლი ცერცვაძე) პირობები შეიცვალა - პრივატიზებული მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთზე: ს/კ 66.54.22.829; (ახალი ს/კ 66.54.23.035) 514 კვ.მ. მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი) და (მიწის ნაკვეთზე: ს/კ 66.54.23.005 (ახალი ს/კ 66.54.23.035); 543 კვ.მ. მისამართი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერბუკი) მიწის ნაკვეთის განაშენიანების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადა გაგრძელებულია, მიწის ნაკვეთი კი, რომელზე არსებული პირობის ვადის გარძელებასაც დღეის მდგომარეობით ითხოვს ირაკლი ცერცვაძე, სწორეთ აღნიშნულ ნაკვეთებთან ერთად არის გაერთიანებული ახალ საკადასტრო კოდში - 66.54.23.035. განმცხადებელმა მოითხოვა ზემოაღნიშნული ვადის გაგრძელება კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი რაიონი გორი, სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 514 კვ.მ; ს/კ 66.54.23.004 (ახალი კოდი: 66.54.23.035) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ირაკლი ცერცვაძეს შორის 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული №3 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი რაიონი გორი, სოფელი ბერბუკი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 514 კვ.მ; ს/კ 66.54.23.004 (ახალი კოდი: 66.54.23.035) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**